თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-17489-24
22 / 03 / 2024

სს „კედარი“-ს წარმომადგენელს
ალექსანდრე ჩუტკერაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი მიმდინარე წლის 19 მარტის №02-13-17489-24 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, მეველეს შესახვევი №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.12.004.003) არსებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი საჰაერო **D=80 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენი. ნაკვეთის სიახლოვეს გადის საჰაერო **D=20 მმ-იანი,** ხოლო მიჯნაზე **D=50 მმ-იანი** საშუალო წნევის მილსადენი. ასევე, კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით ნაკვეთზე ფიქსირდება გაუქმებული მიწისქვეშა **D=50 მმ-იანი** და **D=100 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენი (იხ. დანართი).

კომპანია თანახმაა მოიპოვოთ სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების ნებართვა შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:

- ნაკვეთზე და სიახლოვეს არსებულ საჰაერო გაზსადენებთან (**D=80 მმ-იანი**, **D=20 მმ-იანი, D=50 მმ-იან)** მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა.

აქვე გაცნობებთ, რომ ნაკვეთზე არსებული საჰაერო გაზსადენის **(D=80 მმ-იანი)** დემონტაჟი/დროებით გაუქმება შესაძლებელია მრიცხველის მესაკუთრის (აბონენტის) განცხადებით მომართვის შემთხვევაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის სამუშაოების ჩატარების პროცესში გაუქმებული მიწისქვეშა გაზსადენების(**D=50 მმ-იანი**, **D=100 მმ-იანი)** ღერძის გამოჩენისას უნდა აცნობოთ შპს „თბილისი ენერჯი“-ს, რათა კომპანიამ მოახდინოს აღნიშნული მილის უსაფრთხო დემონტაჟი.

რაც შეეხება გენგეგმას, დასამოწმებლად უნდა წარმოადგინოთ სადემონტაჟო ობიექტის დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი, კომპანიის გაზსადენი უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით.

შეთანხმება ძალაშია **6 (ექვსი)** თვის ვადით.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:1,000
N
W
E
S
D=100
D=80
D=50
D=50
D=20
01.17.12.004.003
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY